



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს,
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

18.12.2023

საკითხი: მოსაზრებები და რეკომენდაციები

საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრანტები, სალექციო კურსის, „ზემოქმედების შეფასების“ ფარგლებში, გავეცანით „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ სამუშაო ვერსიას აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით მოვამზადეთ მოსაზრებები და შენიშვნები. გარდა ამისა, განვიხილეთ, არის თუ არა ზემო ხსენებულ დოკუმენტში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინა წლის იმავე კურსის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებული. კითხვების არსებობის შემთხვევაში, მზად ვართ, მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია.

პატივისცემით,

მარიამ მათურაძე, სოფო ბალხამიშვილი, ელენე გიგიტაშვილი, ანა ანანიაშვილი, თამარ გვასალია, ანდრო წეველიძე, ლუკა ჩხაიძე, ნათია კენჭოშვილი, ნიკოლოზ ფეიქრიშვილი, ნიკოლოზ ამბარდნიშვილი, მიშკო შავაძე, სულხან ბერიძე, ლევან ბოსტიაშვილი, ქეთევან კვიციანი, თამარი ქურიძე, გიორგი ბოლქვაძე, ანა მჭედლიშვილი.

გათვალისწინებული შენიშვნები:

1. შარშან წარმოდგენილ შენიშვნებში, საზოგადოებაში მეტი სანდოობის მიზნით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ რეკომენდაციის სახით გაცემული იყო, რომ კარგი იქნებოდა თუ სკოპინგის განცხადებაში ნათლად გამოჩნდებოდა იმ დამფინანსებელი ორგანიზაციების, თუ უწყებების ვინაობა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სტრატეგიული დოკუმენტების და მისი სგმ-ს მომზადების პროცესში, ჩვენ გადავხედეთ მომზადებული სგმ-ს დოკუმენტს და აღმოვაჩინეთ, რომ ეს საკითხი გათვალისწინებულია, კერძოდ კი დანართ თ-ში ნახსენებია, რომ წინამდებარე სგმ ჩაატარა საკონსულტაციო კომპანიამ - Georgia's Environmental Outlook (GEO) „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის გაწეული ფინანსური დახმარებით (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამის“ მიზანია, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება, მავნე ზეგავლენის მიმართ სექტორის დაუცველობის შემცირებით კარგად დასაბუთებული გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავებისა და მმართველობის დანერგვის, განახლებადი ენერჯის წარმოებაში (ქარის, მზის და ჰიდროენერგეტიკის ჩათვლით) კერძო სექტორის ინვესტიციების გაზრდის, შიდა ენერგეტიკული ბაზრების ეფექტიანი და მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებისა და კიბერსაფრთხოების მიმართ ენერგეტიკული სექტორის მდგრადობის გაძლიერების გზით). დანართ „თ“-ში ასევე ჩანს სკოპინგისა და სგმ-ს ეტაპებზე კონკრეტული ექსპერტების მონაწილეობა და მათი პოზიცია.

2. წინა წლის სტუდენტების მიერ მომზადებული დოკუმენტის მიხედვით, ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა ტექსტის შიდა წყაროების დამოწმებას. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადებაში, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში არსებული მდგომარეობის აღწერისას, მაგალითისთვის მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები არ იყო შესაბამისად ციტირებული, რაც გადამოწმების საშუალებას ზღუდავდა. თუმცა, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში“-ს მიხედვით, მე-2 თავის, 2.1 ქვეთავში - საქართველოს ენერგეტიკის სექტორის მიმოხილვაში, სტატისტიკური მონაცემები დამოწმებულია შესაბამისი წყაროს მიხედვით. მაგალითად: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2021 წელს ენერჯის საბოლოო მოხმარებამ 205 700 ტერაჯოული (ტჯ) შეადგინა“ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2023,21).

3. შარშან წარდგენილ შენიშვნებში ნახსენები იყო, რომ ალტერნატივა 1 რეალურად იყო ნულოვანი ალტერნატივა და საჭირო იყო მინიმუმ ერთი განსხვავებული ალტერნატივის დამატება, რომელიც ჩაითვლებოდა რეალურ ალტერნატივად. „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში“-ს მე-5 თავის, 5.1 ქვეთავში - „ალტერნატივების მიმოხილვა“ დამატებულია ორი ალტერნატივა.

გათვალისწინებელი შენიშვნები:

1. სტუდენტების მიერ გაცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სკოპინგის სახელწოდებას, რომელიც უნდა ყოფილიყო სკოპინგის „ანგარიში“ და არა „განცხადება“. რა თქმა უნდა, უკვე განხილული დოკუმენტი ვერ შეიცვლებოდა, თუმცა საიტზე სკოპინგი ატვირთულია ისევ განცხადების სახელით და სგმ-ს დოკუმენტშიც ყველგან მოხსენიებულია, როგორც განცხადება და არა ანგარიში. სასარგებლო იქნებოდა გათვალისწინებულიყო სტუდენტების რეკომენდაცია და კოდექსში შესულიყო შესწორება, რომლითაც მოთხოვნილი იქნებოდა სგმ სკოპინგის ანგარიშის მომზადება, რაც მოითხოვება გზმ-ის შემთხვევაში.
2. 2023 წლის 13 იანვარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა მიმართეს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს, ქალბატონ თამარ ფიცხელაურს განცხადებით და წარუდგინეს საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო: „7.1 გვ.8-ზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა მოხსენიებულია როგორც აფხაზეთის რეგიონი, დანარჩენ გვერდებზე კი რიგ შემთხვევაში მხოლოდ აფხაზეთი, მაშინ, როდესაც სწორი ფორმა იქნებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ამასთან საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის დოკუმენტში, რიგ შემთხვევებში მხოლოდ აფხაზეთის, ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის და ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკად არის მოხსენიებული. გამომდინარე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მნიშვნელობიდან, მსგავსი პოლიტიკის დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს და დაუშვებელია სახელის რამდენიმე ვარიაციით

გამოყენება, მაშინ როდესაც მას იურიდიულად მხოლოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდება. მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისად მიგვაჩნია, რომ შეიცვალოს სამივე დოკუმენტი.“ აღსანიშნავია, სგშ-ს ანგარიშში არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია და ისევ მოხსენიებულია, როგორც აფხაზეთის რეგიონი და ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ „აფხაზეთი“.

3. შარშან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ გაცემული ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა სკოპინგის განცხადებას, სადაც შეტანილი იყო ძველი მონაცემები. ეს შენიშვნა ეხებოდა იმას, რომ 2030 წლისთვის ენერჯის მთლიან საბოლოო მოხმარებაში განახლებადი ენერჯის წილმა 27,4% უნდა შეადგინოს, რაც არ არის თანხვედრაში არსებულ მონაცემებთან. ეს შენიშვნა არ იყო გათვალისწინებული განხილვაში.
4. ასევე, წინა წლის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი შენიშვნებიდან ერთ-ერთი ეხებოდა რუკას. 1-ლი რუკის გარდა, ყველა რუკაზე იყო ერთი შენიშვნა მოცემული, რომ არ იყო ნახსენები პროექტების განხორციელების კონკრეტული არეალები. არ იყო ინფორმაცია დასახლებული პუნქტების შესახებ.
5. გარდა ამისა, რუკის კლასიფიკაცია არის არასწორი, რადგან ზურმუხტის ქსელის ტერიტორიებს და ზურმუხტის ქსელში შესატანად შეთავაზებულ ტერიტორიებს უკვე შემავალი ტერიტორიის სტატუსი აქვთ, ასე რომ ეს შენიშვნაც არ იქნა გათვალისწინებული.
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, წინა წლის სტუდენტების მიერ, დოკუმენტზე სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში“

წარდგენილი შენიშვნების და მათზე რეაგირების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია დოკუმენტში არ არის ნახსენები.

7. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ცხრილში, გაცემული იყო რეკომენდაცია რომ „უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს განახლებადი ენერჯის გამოყენებასა და არსებული ჰესების რეაბილიტაციაზე. მაგალითად ქ.ზუგდიდის ახლოს მდებარეობს ცაიშის თერმული წყლის საბადო. რომლის გონივრულ გამოყენებასა და ჩართვას რეგიონის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკაში ინტეგრირებას დადებითი გავლენა ექნებოდა რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხედვასა და სიღარიბის დაძლევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს თერმული წყლების საბადოები. ყველაზე მძლავრი, დეტალურად დამიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის თერმული წყლის საბადო. დღეისათვის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შეფასებულია 14 300მ³ ოდენობით დღე-ღამეში, 800-1000 C ტემპერატურით, რომელიც იღვრება ხევში. სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელია ყველა საჯარო დაწესებულების გათბობა ზამთრის ცივ პერიოდში და გასათბობად საჭირო ენერჯორესურსის დაზოგვა.“ სგმ-ში არ არის გათვალისწინებული ეს რეკომენდაცია.

8. 2023 წლის 13 იანვარს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებმა მიმართეს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს, ქალბატონ თამარ ფიცხელაურს, განცხადებით და წარუდგინეს საქართველოს სახელმწიფო ენერჯეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერჯეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები. ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო: „სკოპინგის განცხადების საფუძვლიანად განხილვისთვის და ადეკვატური შენიშვნების და რეკომენდაციების მოწოდებისთვის გამოყოფილი დროის არასაკმარისი პერიოდი.

სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტები („საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა“, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი)“) ჯამში 658 გვერდია, შესაბამისად მათი ასეთ მოკლე დროში წაკითხვა და გაანალიზება ფაქტობრივად შეუძლებელია. დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ უკეთესი იქნება თუ მათზე შენიშვნების და მოსაზრებების მიღების ვადა გახანგრძლივდება. ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ სკოპინგის ანგარიშის შესახებ მოსაზრებების და შენიშვნების მიღების ვადა, შესაძლოა უკეთესი იყოს, თუ ყოველი დოკუმენტისთვის ერთი და იგივე არ იქნება (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი (ვერსია 2020.01.18)-ის მიხედვით 15 დღე) და ვადის განსაზღვრა მოხდება გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, მაგალითად: დოკუმენტების გვერდების რაოდენობის, დოკუმენტების მნიშვნელობისა და საზოგადოების ინტერესების მიხედვით. უმჯობესი იქნება, თუ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსშიც მოხდება კონკრეტული ცვლილების შეტანა. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის და აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტი, რომელსაც ახლა მიმოვიხილავთ, შეადგენს 1010 გვერდს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დოკუმენტის მნიშვნელობისა და მასზე საზოგადოებრივი ინტერესის მიხედვით, მოხდეს სათანადო ცვლილება კანონმდებლობაში, როგორც სკოპინგის, ასევე სგშ-ს ეტაპზე განსახილველი დოკუმენტაციის ვადებთან დაკავშირებით.

9. გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ქვეპუნქტის — 8.1-ის პირველი ნაწილი, რაც ითვალისწინებს სგშ-ს ანგარიშში ფაუნასთან ერთად, ფლორაზე გავლენის მნიშვნელოვან ზემოქმედებად განხილვას. არაა გათვალისწინებული მე-8 რეკომენდაციის ის ნაწილი, რაც მოიცავს ზემოქმედების კლასიფიცირების მეთოდოლოგიის შემუშავებას და “ლანდშაფტთან შეუთავსებლობის” ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებით კატეგორიზაციას

დამატებითი რეკომენდაციები

1. „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადება“- ში, მე-3 თავის, 3.1 ქვეთავში, სახელად „გარემოსა და დასახლებების მიმოხილვა“-ში, გეოგრაფიული არეალისა და მთავარი დასახლებული ტერიტორიების აღსაქმელად წარმოდგენილია ვიზუალური მოდელი, რუკის სახით, თუმცა დამატებით მოკლე ინფორმაცია გეოგრაფიული არეალისა და შესაბამისი დასახლებული პუნქტების შესახებ, სადაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება, არ წერია, ამიტომ განცხადება საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის დაწერას (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 24.2(ბ)).
2. „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადება“-ში, მე-3 თავის, 3.2.13-ე ქვეთავში - „ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები“-ში ნახსენები არ არის ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ ზოგადი ინფორმაცია (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 24.2(დ)) და ნახსენებია მხოლოდ გარემოზე შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზიანის შესახებ ზოგადი ინფორმაცია.
3. სგშ-ს ანგარიშში ნახსენებია არსებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განახლება, მაგრამ არ არის დაზუსტებული თუ რომელი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია იგეგმება, ასევე უმჯობესია

რომ იყოს ნახსენები, კონკრეტულად რისი რეაბილიტაცია ესაჭიროება თითოეულ სადგურს და განხილული იყოს სამუშაოთა ჩამონათვალი და მათი გეგმა-გრაფიკი.

4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ მოთხოვნათა ცხრილში, მოთხოვნილი იყო სგშ-ს ანგარიშში, სქოლიოში მითითებულიყო შესაბამისი კანონმდებლობა: „არსებული კანონმდებლობა აღკვეთილების ფარგლებში ენერჯის გარკვეული განახლებადი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა“, რომელიც ამ ეტაპზეც არ არის შეტანილი და გათვალისწინებული.
5. ცხრილი 2-ის საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მისი შედეგების შერბილების მიმართულება: სგშ-ის ანგარიშში განსახილველ შესაძლო ზემოქმედებებში, ნარჩენების სექტორთან დაკავშირებული ემისიების მიმართულებით ნაგავსაყრელებიდან წარმოქმნილი დაბინძურების განხილვისას, გარემოს კომპონენტებსა და შესაძლო ზემოქმედების ცხრილში არ არის გამოყოფილი ფლორა და ფაუნა. გარდა იმისა, რომ ნაგავსაყრელების წარმოქმნა ცოცხალი ორგანიზმების ჰაბიტატების კარგვას უკავშირდება, ამ ტერიტორიიდან მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება აზიანებს ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლების ჰაბიტატებს და გარკვეულ შემთხვევებში იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორცაა, მაგალითად, მცენარის ფესვების დაზიანება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ცხრილში ყვითელი კატეგორიზაციით გამოიყოს ფლორა და ფაუნა.
6. დამატებით, ამავე ცხრილის მიხედვით, არაა გამოვლენილი ის სტრესის ფაქტორები, რასაც კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და მისი შედეგების შერბილების საქმეში სამრეწველო პროცესებიდან ემისიებსა და სოფლის მეურნეობის წარმოებიდან ემისიებს უკავშირდება. ვფიქრობთ, რომ მსოფლიოში

სათბურის აირების საერთო ემისიებში აღნიშნული სექტორების მაღალი წვლილის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საქართველოში აღნიშნული სექტორების ემისიების საფუძვლიანი შესწავლა, რათა შესაბამისად მოხდეს მათი სტრუქტურის ფაქტორების გამოვლენა. დამატებით, მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის წარმოებიდან ემისიების შემცირების გასწვრივ მუქი ყვითელი კატეგორიზაციით გამოიყოს ის კომპონენტები და ზემოქმედებები, როგორებიცაა, პირველ რიგში, ფლორა და ფაუნა, ასევე ნიადაგი, კლიმატი, ჰაერი, წყალი და ლანდშაფტი, რადგან სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის დარგის გავლენით თითოეული მათგანი განიცდის არც ისე მცირე ზემოქმედებას.

7. ცხრილი 2-ის საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმართულება: აღნიშნული ნაწილი მიზნად ისახავს ენერჯის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას, რაც, ცალსახად, მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის. თუმცა, ნაცვლად განახლებადი რესურსების წილის გაზრდისა, რაც ემისიების შემცირებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, დოკუმენტი განიხილავს ბუნებრივი აირის ადგილობრივი რესურსების ათვისებას, ქვანახშირის სექტორში შიდა ენერგეტიკული რესურსების გამოყენებას და დამატებით, ენერჯის ორივე ზემოაღნიშნულსა და ნავთობის სექტორში რესურსების რაციონალურ ათვისებას. დოკუმენტში მოცემულ ცხრილი 1-ში აღნიშნულია, რომ “ჩვეული პრაქტიკის მეშვეობით საქართველო ვერ შეასრულებს პარიზის შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებას”. მეტიც, ცხრილში აღნიშნულია ისიც, რომ “საქართველოს მიერ ვალდებულებათა შესრულებისთვის აუცილებელია დამატებითი პრიორიტეტული და ინოვაციური ქმედებები ენერგეტიკის სფეროში”. წიაღისეული საწვავის რესურსების ათვისება კი აბსოლუტურად შეუსაბამოა ზემოაღნიშნულ მიზანთან და მკვეთრად შეუშლის ხელს მის აღსრულებას. მეტიც, ეს მიმართულება ეწინააღმდეგება ევროკავშირის პრიორიტეტს დეკარბონიზაციის შესახებ.

8. 3.2.11 ჯანმრთელობა. სგმ-ს ანგარიშში განსახილველი ზემოქმედებები, გვ.72, პირველი აბზაცი. ტექსტში აღნიშნულია, რომ იდენტიფიცირებული იქნება საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის/ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განხორციელების ღონისძიებების არაპირდაპირი ზემოქმედებები ადამიანის ჯანმრთელობაზე და ეს საკითხი დეტალურად იქნება შესწავლილი, თუმცა აბზაცის ბოლოს ვკითხულობთ, რომ სგმ-ს ანგარიშში განისაზღვრება პირდაპირი ზემოქმედების პრობლემის მოგვარების ღონისძიებები, ხოლო არაპირდაპირი ზემოქმედებები ადამიანის ჯანმრთელობაზე იქნება განხილული იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ზემოქმედებების საწინააღმდეგო ღონისძიებები არ იქნება საკმარისი ჯანმრთელობაზე არაპირდაპირი ზემოქმედებების პრობლემის მოსაგვარებლად. თუ ადამიანის ჯანმრთელობაზე არაპირდაპირი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია და საკითხი დეტალურადაა შესწავლილი, ვფიქრობთ უფრო გონივრული იქნებოდა, ის თავიდანვე იყოს მიხმული სგმ-ს ანგარიშზე. ვინაიდან საკითხი ეხება ადამიანის ჯანმრთელობას, დროის შემცირება შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს ზოგიერთ შემთხვევაში.

ტექნიკური შენიშვნები
<p>სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვითი საინფორმაციო პორტალის საიტზე - https://ei.gov.ge/ შესვლისას, პირველი, თვალში მოსახვედრი ხარვეზი არის ორჯერ ატვირთული ერთი და იგივე სახელწოდებისა და შინაარსის მქონე დაგეგმილი საქმიანობა/სტრატეგიული დოკუმენტი, სახელწოდებით „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტი“. აღნიშნული ფაქტი, მიუთითებს იმას, რომ საიტს, მიუხედავად იმისა, რომ სატესტო რეჟიმში მუშაობს, ესაჭიროება ოპტიმიზაცია.</p>

<p>რიგით მეორე შენიშვნა ეხება დოკუმენტის გამოქვეყნების თარიღს, რომელიც არის 20.10.2023-ში გამოქვეყნებული, ხოლო, საზოგადოების მხრიდან, შენიშვნების წარდგენის ვადა არის 18.12.2023-ში. აქედან გამომდინარე, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, 2 თვეში შესაძლებელია თუ არა, რომ დაინტერესებულმა საზოგადოებამ მოასწროს დოკუმენტების გაცნობა, წაკითხვა და შემდგომ შენიშვნების დაწერა.</p>
<p>მესამე შენიშვნა უკავშირდება დანართების ფორმატს, რომელიც საიტზე Microsoft Word Document-ის ფორმატით არის ატვირთული, და არა როგორც PDF ფაილი. Word-ის დოკუმენტი, „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტს“ არაოფიციალურს ხდის და გარდა ამისა, მკითხველს ტექსტში ცვლილებების შეტანის საშუალებას აძლევს.</p>
<p>შემდეგი შენიშვნა ეხება PDF ფაილების სახელწოდებებს. მათი ჩამოტვირთვის შემდეგ ყველას ერთი და იგივე სახელი აწერია - file.pdf. ვფიქრობთ, რომ თითოეული ფაილის შესაბამისი დასათაურება აუცილებელია მათი იდენტიფიცირებისათვის.</p>
<p>გარდა ამისა, იმის მაგივრად, რომ ყველა ფაილი თუ დანართი, თავმოყრილი იყოს ერთ დიდ დოკუმენტში, მეტი პრაქტიკულობისათვის, არის ცალ-ცალკე ატვირთული, ეს მიდგომა მკითხველს აბნევს და დოკუმენტის სრულყოფილებასაც, ერთი შეხედვით, არღვევს.</p>
<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გაკეთებული განცხადების საფუძველზე, საჯარო განხილვა უნდა ჩატარებულიყო 2023 წლის 1 დეკემბერს. თუმცა, 8 ნოემბერს გაკეთებული განცხადების მიხედვით, შეიცვალა საჯარო განხილვის თარიღი და გამოცხადებულის ნაცვლად, ჩაინიშნა 2023 წლის 11 დეკემბერს. 8 ნოემბერს გაკეთებულ განცხადებაში, არ არის განმარტებული თარიღის ცვლილების მიზეზი, ეს ფაქტი კი, გვაფიქრებს და მოითხოვს საკითხთან დაკავშირებულ დამატებით განმარტებას.</p>